



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

„დამტკიცებულია“

რექტორი

პროფ. გიორგი ონიანი

აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 9
12 მარტი 2009 წელი

„დამტკიცებულია“

დეკანი

ასოც. პროფ. გოდერძი ვაჭრიძე

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი № 8
23 თებერვალი 2009 წელი

საბაკალავრო პროგრამა

ფილოსოფია

1. პროგრამის დასახელება: ფილოსოფია

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი (ფილოსოფია)
Bachelor of Arts (Philosophy)

3. პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი და სტრუქტურული ერთეული:
საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის
დეპარტამენტი.

4. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

მიზანი: ფილოსოფიაში საბაკალავრო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს საბაზო განათლების მიღება ზოგად და სპეციალურ ფილოსოფიურ დისციპლინებში. ისეთი უნარების განვითარება როგორცაა: თავისუფალი, არატენდენციური და კრიტიკული აზროვნება. საგნებსა და მოვლენებში მთავარის, არსებითისა და ლოგიკის დანახვა. იმ ფილოსოფიური მეთოდების დაუფლება რომლებიც უზრუნველყოფენ საგნებისა და მოვლენების ფილოსოფიურ კვლევას. ამ კვლევის შედეგების ზეპირად ან წერილობით გადმოცემას.

• შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები

პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრი ფლობს:

ფილოსოფიასა და ფილოსოფიურ დისციპლინებში ფუნდამენტალური პრობლემების ცოდნას, ღრმა ცოდნას თანამედროვე ფილოსოფიურ და სოციალურ თეორიებსა და მეთოდოლოგიებში, სოციალური თუ სხვა მოვლენების ფილოსოფიური და მსოფლმხედველობრივი ანალიზის უნარს; მის გამოყენებას პრაქტიკულ საქმიანობაში.

ზოგადი კომპეტენციები:

- აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარს;
- პრობლემების იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარს;
- ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ანალიზის უნარს;
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს;
- სწავლისა და ცოდნის მუდმივი დანახლების უნარს;
- მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარს;
- კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარს;
- განსხვავებული აზრების პატივისცემას და ჯგუფში მუშაობის უნარს;

დარგობრივი კომპეტენციები:

- სპეციფიკური ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ადექვატური გამოყენება;
- ფილოსოფიის განვითარების ისტორიული ეპოქების ცოდნა;
- ფილოსოფიაში ძირითადი მიმდინარეობების ცოდნა;
- ძირითადი ფილოსოფიური თეორიების ცოდნა;
- ფილოსოფიის სხვადასხვა მეთოდების ცოდნა და გამოყენების უნარი;

დასაქმების სფეროები: –ფილოსოფიის ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სხვადასხვა ოფიციალურ თუ კერძო სტრუქტურებში და ორგანიზაციებში. არასამთავრობო სექტორში. აგრეთვე იქ სადაც საჭიროა ანალიტიკური და პროგნოზული გამოკვლევები.

5. პროგრამაზე მიღების წინაპირობა

აბიტურიენტის განათლების წინამორბედი დონეა სრული საშუალო ან მისი ექვივალენტური განათლება. აბიტურიენტს უნდა გააჩნდეს სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს მას სტუდენტის სტატუსს საქართველოს მოქალაქეებისათვის ან ექვივალენტური დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (სახელმწიფოებს შორის) შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში.

6. პროგრამის სტრუქტურა

№	კურსი	სკ	ლ./პრ./ს/ლაბ.	კრედი-ტოა რაოდენობა	სემესტრები								წინაპირობა
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
პროგრამის სავალდებულო კურსები (150კრედიტი)													
1	უცხო ენა	3	0.3.0.0	15	5	5	5						
2	აკადემიური წერა	3	0.3.0.0	5	5								
3	ისტორიულ მეცნიერებათა შესავალი	3	2.1.0.0	5	5								
4	მასობრივი კომუნიკაციების შესავალი	3	2.1.0.0	5	5								
5	ფილოსოფიის შესავალი	3	2.1.0.0	5	5								
6	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	3	2.1.0.0	5	5								
7	ფილოსოფიის ზოგადი კურსი	3	2.1.0.0	5		5							
8	ანტიკური ფილოსოფია	3	2.1.0.0	5		5							
9	რელიგიათმცოდნეობა	3	2.1.0.0	5		5							
10	შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ფილოსოფია	3	2.1.0.0	5			5						
11	ლოგიკა	3	2.1.0.0	5			5						
12	ორატორული ხელოვნება	3	2.1.0.0	5		5							
13	ახალი დროის ფილოსოფია	3	2.1.0.0	5			5						
14	ქართული ფილოსოფიის ისტორია	3	2.1.0.0	5		5							
15	რელიგიის ფილოსოფია და რელიგიური ფილოსოფია	3	2.1.0.0	5			5						
16	XX საუკუნის ფილოსოფია	3	2.1.0.0	5				5					
17	ბუნებისმეცნიერების ფილოსოფია	3	2.1.0.0	5				5					
18	ფსიქოლოგია	3	2.1.0.0	5			5						
19	ისტორიის ფილოსოფია	3	2.1.0.0	5				5					
20	ესთეტიკა	3	2.1.0.0	5						5			
21	ფილოსოფიური ანთროპოლოგია	3	2.1.0.0	5						5			
22	თანამედროვე დასავლური	3	2.1.0.0	5						5			

	სოციოლოგია											
23	კულტურის ფილოსოფია	3	2.1.0.0	5						5		
24	რაციონალიზმის ფილოსოფიური თეორია	3	2.1.0.0	5						5		
25	სიცოცხლის ფილოსოფია	3	2.1.0.0	5						5		
26	ეთიკა	3	2.1.0.0	5							5	
27	ადმოსავლური ფილოსოფია	3	2.1.0.0	5							5	
28	სოციოლოგია	3	2.1.0.0	5						5		
პროგრამის არჩევითი კურსები (20 კრედიტი - 4 კურსი)												
	არჩევითი კურსი - 1	3	2.1.0.0				5					
1.1	პოლიტოლოგია											
1.2	საქართველოს ისტორია											
	არჩევითი კურსი - 2	3	2.1.0.0				5					
2.1	ნეოპლატონიზმი											
2.2	პოსტმოდერნიზმი											
	არჩევითი კურსი - 3	3	2.1.0.0					5				
3.1	განათლების ფსიქოლოგია											
3.2	ნეოთომიზმი და ქრისტიანობა											
	არჩევითი კურსი - 4	3	2.1.0.0						5			
4.1	დ.უზნაძის განწყობის თეორია											
4.2	ცნობიერების ფილოსოფიური თეორია											
	თავისუფალი კრედიტები			10							10	
	დამატებითი სპეციალობის (Minor) კრედიტები			60			10	10	10	10	10	10
	სულ			240	30	30	30	30	30	30	30	

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში; ლ/პ/ს/ლაბ. - ლექცია/პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორიული.

7. პროგრამით გათვალისწინებული კურსების მოკლე ანოტაციები.

კურსის კოდი: HLB0030

აკადემიური წერა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართველი ერის ისტორიული განვითარების გზა, ქართული ენის წარმოშობა და მისი თეორიები, ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა სისტემაში, ქართული დამწერლობის წარმოშობა, განვითარების ეტაპები, ქართული ენის ურთიერთობა სხვა ენებთან, დიალექტები და ურთიერთობა სალიტერატურო ენასთან, ქართული ენის ნორმირების საკითხები.

სტილის რაობა, სტილისტიკის დარგები, ფუნქციური სტილი, სადა, ანუ პროზაული მეტყველებისა და მხატვრული მეტყველების სტილი, სადა მეტყველებისა და პოეტური მეტყველების სტილი. სტილის შექმნის ენობრივი რესურსები, სტილისტური ნორმის ცნება.

ენობრივი ერთეულების პრაგმატული ფაქტორები, ლოგიკური აზროვნების კანონები. სიტყვის ემოციური იერი, შეფასების მომენტი, სიტყვათა ხმარების სფერო, ლექსიკური ფონდის გამდიდრების გზები. ენის ფრაზეოლოგიურ საშუალებათა სტილური ფუნქციები. ენის გამომხატველობითი საშუალებანი.

საკურსო, საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომთა ენა და სტილი.

კურსის კოდი: SHB0020

ისტორიის მეცნიერების შესავალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ისტორია-როგორც მეცნიერება; საქართველოს ისტორია, როგორც მსოფლიო ისტორიის შემადგენელი ნაწილი; საქართველოს ისტორიის ძირითადი წყაროები და ისტორიოგრაფია; საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და ზოგადი ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება; საქართველო-კავკასია და გარესამყარო; უძველესი ადამიანის წარმოშობის პრობლემა და საქართველო; "დმანისელი ადამიანი"-პირველი ევრაზიელი. "დიდი კოლხური" კულტურა; მეფე აიეტი და აიეტანები; არგონავტები; ეგრის-კოლხეთის სახელმწიფო ძვ.წ VI-III საუკუნეებში; ქართლის(იბერიის) სახელმწიფოს წარმოშობა ძვ.წ IV-III საუკუნეებში; მეფე ფარნავაზი; ქრისტიანობის წარმოშობა და მისი გავრცელება საქართველოში; ქრისტიანობის როლი და მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისა და კულტურაში- საქართველოს ისტორია, ქართული კულტურა და ცივილიზაცია კავკასიის, ახლო აღმოსავლეთის, აფროევრაზიისა და მსოფლიო ისტორიის განუყოფელი და ორგანული ნაწილი

კურსის კოდი: SGB0110

მასობრივი კომუნიკაციის შესავალი: (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მასობრივი კომუნიკაციის არსი და მასმედიის ინსტიტუციური ბუნება; მასობრივი კომუნიკაციის პროცესი; კომუნიკატორი, როგორც მასობრივი კომუნიკაციის სუბიექტი; შეტყობინება, როგორც მასობრივი კომუნიკაციის შინაარსი; არხი, როგორც ტექნიკურ-კომუნიკაციური სისტემა; აუდიტორია და მასობრივი კომუნიკაცია; მასობრივი კომუნიკაციის თანამედროვე მიმდინარეობები

კურსი წარმოადგენს წინაპირობას სხვა დისციპლინათა შესასწავლად

კურსის კოდი: SFB0530

ფილოსოფიის შესავალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოსოფიის აზრი და წარმოშობა, ფილოსოფიის პერიოდიზაციის მოკლე მიმოხილვა, ფილოსოფია და მეცნიერება, ფილოსოფიის საგანი, მსოფლმხედველობის არსი და ტიპები, სამყარო და ადამიანი, ყოფიერების ფორმები, გონი და კულტურა, კანონზომიერების პრობლემა, კანონი და მისი ფუნქციები, ფილოსოფიის ძირითადი კატეგორიები, ფსიქიკა და ცნობიერება, შემეცნების თავისებურებანი, ფილოსოფიური ტერმინების, ცნებების და თეორიული მიმართულების ზოგადი დახასიათება, დეტერმინიზმის პრობლემა, მეტაფიზიკისა და დიალექტიკის თავისებურება, ადამიანის პრობლემა(ანთროპოლოგია), საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, პოლიტიკურ-სამართლებრივი სტრუქტურა, ერი და კაცობრიობა, ტექნიკური გაუვხობის პრობლემა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ზოგადი საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული დისციპლინების გათვითცნობიერება საშუალო განათლების დონეზე

კურსის კოდი SWB0440

საერთაშორისო ურთიერთობათა შესავალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საგანი, მეთოდი, ლიტერატურა, საკითხის ისტორიოგრაფია, საერთაშორისო ურთიერთობანი და დოკუმენტები ანტიკურ ეპოქაში, საერთაშორისო ურთიერთობანი შუა საუკუნეებში, ახალი ერის- კაპიტალიზმის ხანის საერთაშორისო ურთიერთობანი კრომველი, ნაპოლეონი, ტალეირანი, მეტერნიხი, ბისმარკი, XX საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობანი. ლოიდ-ჯორჯი, კლემანსო, ვუდრო ვილსონი, ჩერჩილი, რუზველტი, სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი, თეთჩერი.

კურსის კოდი: SFB0470

ფილოსოფიის ზოგადი კურსი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოსოფიური აზროვნების პერიოდიზაცია; ფილოსოფიის საგანი; ფილოსოფი და მეცნიერება; ფილოსოფია და მსოფლმხედველობა, რელიგია და იდეოლოგია; სამყარო და ადამიანი, ყოფიერების არსი, ფორმები და სახეები; გონი და კულტურა; კანონზომიერების არსი, კანონი და მისი ფუნქციები; კანონზომიერი ფუნქციები და მიმართებები; თანაფარდობიტი კატეგორიები, მეტაფიზიკა და დიალექტიკა; ცხოველი და ადამიანი, ინსტიქტი და ცნობიერება. არაცნობიერი ფსიქიკურის პრობლემა; ენის ფილოსოფიური პრობლემები; საზოგადოების მატერიალური და ეკონომიკური ფუნქციონირების პრობლემა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მორალური ურთიერთობების პირობები; ადამიანის გაუცხოების პრობლემა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ფილოსოფიის შესავალი.

კურსის კოდი: SFB0020

ანტიკური ფილოსოფია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფია, კოსმოლოგიური პერიოდი ანტიკურ ფილოსოფიაში, ანტიკური ფილოსოფიის ანთროპოლოგიური პერიოდის არსი; სოკრატეს ფილოსოფია და ცხოვრება; ანტიკური ფილოსოფიის სისტემური პერიოდის ზოგადი დახასიათება. დემოკრიტეს ფილოსოფია, პლატონი და არისტოტელეს ფილოსოფია. მისი ეთიკა და მოძღვრება ადამიანისა და საზოგადოების შესახებ. ელინისტური პერიოდი ანტიკურ ფილოსოფიაში; ნეოპლატონიზმი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ფილოსოფიის ზოგადი კურსი.

კურსის კოდი: SFB0220

რელიგიათმცოდნეობა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: რელიგიის განსაზღვრების ტიპები. რელიგიის არსობრივი მახასიათებლები. რელიგიური ცნობიერების სპეციფიკა. რელიგია, როგორც აზროვნების განვითარების კულტურული ფორმა. რელიგიის წარმოშობის პირობები. ანიმიზმი, მაგია, ფეტიშიზმი, ტოტემიზმი, ტაბუს ფენომენი. მითოსი და ძველი ბერძნულ-რომაული რელიგია. მითოსიდან ლოგიკისაკენ. მინოთეისტური რელიგიების თავისებურებები. ნაციონალური რელიგიები – კონფუციანელობა, იუდაიზმი. ბუდიზმის რწმენის თავისებურებები. მაიას პრინციპი ბუდიზმში. ჰინაიანასა და მაჰაიანას ფილოსოფია. ტატხა იოგა. კრიშნას ცნობიერება. ყურანი – ისლამის ბიბლია. მუჰამადე – ისლამის ფუძემდებელი. ისლამი და საქართველო. ისლამი და XXI საუკუნე. ქრისტიანობის წარმოშობის წინამძღვრები. ქრისტე, როგორც ხორცშესხმული ღმერთი – ძე ღმერთი. სამების არსი და ფუნქციები. მათწს, იოანეს, მარკოსის და ლუკას სახარებები. პავლე მოციქულის ქვისტოლები. არაკანონიკური სახარებები. მართმადიდებლობა და კათოლიციზმი. პროტესტანტიზმის თავისებურებები. ქრისტიანული სექტები. ქრისტიანობა და საქართველო. ქრისტიანობა დღეს.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ფილოსოფიის ზოგადი კურსი .

კურსის კოდი: SFB0630

შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ფილოსოფია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოსოფია, როგორც რელიგიის მსახური, თეოლოგიის ჩამოყალიბება. რწმენისა და ცოდნის პოლემიკა ქრისტიანულ თეოლოგიაში. სქოლასტიკის როლი შუა საუკუნეების ფილოსოფიური აზრის თავისებურებებზე, მაღალი სქოლასტიკა. ნომინალიზმი, რეალიზმი და კონცეპტუალიზმი. რელიგიისა და ფილოსოფიის ურთიერთმიმართების მკვეთრი შემობრუნება აღორძინების ეპოქაში. ჰუმანიზმისა და რეფორმაციის არსი, ბუნებისმეტყველების სწრაფი განვითარება. ნ. კუზანელისა და მ. მონტენის შეხედულებათა ეპოქალური მნიშვნელობა. სოციალურ-პოლიტიკური თეორიები. ნ. მაკიაველი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ანტიკური ფილოსოფია.

კურსის კოდი: SFB0160

ლოგიკა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ჭეშმარიტების დადგენის გზები. ბჭობა და ბჭობაში დაშვებული შეცდომები. აზროვნების ძირითადი კანონები. საწინადადებო მაკავშირებლები და მათი თვისებები. ლოგიკური გამომდინარეობის ზოგადი წესები. ცნება ცნების სახეები და ძირითადი დამიკვიდებულებები ზოგად ცნებებს შორის. ცნებათა შემუშავების ხერხები. კლასიფიკაციის. კატეგორიული სოლოგიზმის თეორია. სოლოგიზმის წესები. ინდუქციური და დედუქციური დასკვნები. მიზნობრივი კავშირის დადგენის მეთოდები, ჰიპოთეზი, ალბათობა. დასაბუთების სახეები, შეცდომები დასაბუთებაში. კამათი (პოლემიკა) და მისი სახეები. მოკამათეთა ურთიერთობის პრინციპები. კამათის წარმართვის ხერხები, სოფიზმები. დაცვისა და შეტევის ლოგიკური წესები კამათში

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ფილოსოფიის შესავალი, ანტიკური ფილოსოფია.

კურსის კოდი: SFB0190

ორატორული ხელოვნება (5 კრედიტი)

კურსი მოცავს შემდეგ თემებს: ზეპირმრტყველების უნიკალური კულტურული ნიმუშები და მათი ძირითადი თავისებურებანი, ღია საჯარო გამოსვლების წარმართვის ხერხები და მეთოდები, მსმენელზე ზეგავლების მოხდენის ეფექტური ინტონაციები და ტექსტოლოგიური გამოსახულებები; მხატვრული ლიტერატურული მაღალფარდოვნებისა და სისადავის კონტრასტული კომპონენტები, ენის სისხარტისა და ლაკონურობის გამომუშავების ტექნოლოგიები; დემაგოგიისა და ერისტიკის გამოყენების წესები და ოპტიმალური გამომუშავების ტექნოლოგიები. დემაგოგიისა და ერისტიკის გამოყენების წესები და ოპტიმალური გავრცელების დიაპაზონი; კამათსა და პოლემიკაში წარმატების მიღწევის ფორმალურ-ლოგიკური გარანტიები; ტრადიციული სოფიზმების კლასიკური ნიმუშები და მათი განახლებული ვარიანტები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ფილოსოფიის ზოგადი კურსი, ლოგიკა

კურსის კოდი: SFB0040

ახლი დროის ფილოსოფია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მსოფლმედველობრივი სოციალიზმი; ინგლისური ემპირიზმი და მისი განვითარების გზა. კონტინენტური რაციონალიზმი და მისი განვითარების გზა; მეცნიერების დაფუძნება კანტის ფილოსოფიაში; ზნეობის დაფუძნება კანტის მიერ. ორი გზა კანტის შემდგომ ფილოსოფიაში. ტრანსცედენტალიზმის ხაზი და ტრანსცედენტიზმი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ფილოსოფიის ზოგადი კურსი, შუა საუკუნეების ფილოსოფია.

კურსის კოდი: SFB0620

ქართული ფილოსოფიის ისტორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართული მითოლოგიის როლი და გავლენა ანტიკური პერიოდის ფილოსოფიაზე; ქრისტიანობამდელი და ქრისტიანული პერიოდის ქართული ფილოსოფიური აზრის თავისებურებანი; არეოპაგეტიკა და მისი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა რენესანსული იდეების ტრანსფორმაციაში. შოთა რუსთაველი ფილოსოფიური კრედო, პოეზიის ენაზე გამოთქმული მეტაფიზიკა. ქართული ფილოსოფიური აზროვნება განმანათლებლობის პერიოდში; ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარება მე-19 საუკუნეში; მე-20 საუკუნისა და თანამედროვე ქართული ფილოსოფიის ძირითადი მიმართულებები და მათი ავტორიტეტული წარმომადგენლები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ფილოსოფიის ზოგადი კურსი.

კურსის კოდი: SFB0230

რელიგიის ფილოსოფია და რელიგიური ფილოსოფია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: რწმენაზე დაფუძნებული მსოფლმხედველობის სპეციფიკა. რელიგიური ცნობიერების არსი. რწმენის ოტოლოგიური, გნოლოლოგიური და აქსიოდოლოგიური საფუძვლები. რაციონალიზმის ძირითადი პრინციპები და რელიგიური გაუცხოების ცნება გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიაში. “წმინდა გონისა” და “განმანათლებლური რელიგიის” პრინციპები. “უღმერთო რელიგია” და “თანმიმდევრული ათეიზმი” რელიგიური ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები და

თანამედროვეობა. ნეოთომიზმი, ავგუსტინელოური: სუარესელები; ლუთერანული. მენ-ბუდისტური. ტეიარ დე შარდენის ჰილომისტური თეოლოგია. დიალექტიკური თეოლოგია კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ფილოსოფიის ზოგადი კურსი, რელიაგითმცოდნეობა.

კურსის კოდი: SFB0010

XX საუკუნის ფილოსოფია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოსოფიური აზრის განვითარება XX საუკუნეში, ძირითადი ფილოსოფიური სკოლები: ფენომენოლოგია, პოზიტივიზმი, პოსტპოზიტივიზმი, სიცოცხლის ფილოსოფია, ეგზისტენციალიზმი, ფსიქონალიზი, სტრუქტურალიზმი, პოსტსტრუქტურალიზმი, პოსტმოდერნი, პრობლემები და ამოცანები, წინააღმდეგობები და შეუთავსებლობები, “თანამედროვე აზროვნება” და მისი კრიტიკა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:ახლი დროის ფილოსოფია

კურსის კოდი: SFB0050

ბუნებისმცოდნეობის ფილოსოფია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ბუნების კვანტიფიკაციის პრობლემა, მოძრაობასთან და სიდიდესთან დაკავშირებული ლოგიკური პარადოქსები; მექანიციზმი და კაუზალიზმი; ნატურ-ფილოსოფია, ქვალიტეტური და ქვანტიტეტური სუბსტანციალობა; საზღვრითი სიდიდეების მეტაფიზიკა, ლოგიკური სიცხადისა და დაკვირვებადობა. შემოწმების პრინციპთა მათემატიკური ხასიათი; კორპუსკულურ-ტალღური დუალიზმის თეორია; ადიტიკური განზომილების მიმართებები; ქიმიის მისტიკური წინამძღვრები; ბუნებისმეტყველების ამოსავალი თეზა-მეტერიის ერთიანობა; მოძვრება სიცოცხლის შესახებ, ბიოგენეტიკური კანონის არსი, ვიტალიზმის კონცეფცია – სწრაფვა ღვთაებრივი სრულყოფისაკენ, ონტოგენეზისა და ფილოგენეზის დიალექტიკა; ბიოგენეტიკური ევოლუცია და ათროპოგენეზი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:ფილოსოფიის ზოგადი კურსი, ლოგიკა.

კურსის კოდი: SFB0610

ფსიქოლოგია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფსიქოლოგიის საგანი, ფსიქოლოგიის მეთოდები, ფსიქიკური სინამდვილის კლასიფიკაცია, ცნობიერება და არაცნობიერი ფსიქიკურის ცნება, პიროვნების ფიქოლოგია, ქცევის ფსიქოლოგია, პიროვნებისა და ქცევის თეორიები, ფსიქიკური პროცესები, ნებელობით პროცესთა ფსიქოლოგია, ემოციურ პროცესთა ფსიქოლოგია, შემეცნებით პროცესთა ფსიქოლოგია.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ფილოსოფიის ზოგადი კურსი.

კურსის კოდი: SFB0110

ისტორიის ფილოსოფია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ისტორიული შემეცნების ზოგადი თეორია, ისტორიული წრებრუნვის თეორია, თავისუფლებისა და აუცილებლობის გაგება; ისტორიის საზრისის პრობლემა; საზოგადოებრივი პროგრესის თეორიები. ისტორიზმის კრიზისი და მისი დაძლევის გაზეზი. კულტურა, ისტორია და საზოგადოება; პიროვნების როლი ისტორიაში;

ფატალიზმი და ვოლუტარიზმი; ისტორიული პარადიგმების კანონზომიერება; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და საზოგადოების ისტორიული განვითარების პერსპექტივა.
კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ფილოსოფიის შესავალი.

კურსის კოდი: SFB0070

ესთეტიკა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ესთეტიკის საგანი, ესთეტიკური სიტუაცია, ესთეტიკური, როგორც იდეალურისა და რეალურის თანაფარდობა; ესთეტიკური ცნობიერების განვითარების წინაისტორია; ესთეტიკური ღირებულების არსი. ღირებულების განსაზღვრა; კულტური პრობლემა, ესთეტიკა, როგორც კულტურის ფენომენი. ესთეტიკის კატეგორიები: მშვენიერი და უგვანო, ამაღლებული და მდაბალი, ტრაგიკული და კომიკური. ესთეტიკურის მიება ანტიკურ ფილოსოფიაში. ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიის საკითხები – ქართული მითოლოგიური ესთეტიკის საკითხები. ქართული ნეოპლატონისტური ესთეტიკის საკითხები. ხელოვნების წარმოშობა და არსი; რენესანსის ხანის მხატვრული აზროვნების საკითხები საქართველოში – რუსთაველი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ფილოსოფიის შესავალი.

კურსის კოდი: SFB0600

ფილოსოფიური ანთროპოლოგია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოსოფიური ანთროპოლოგიის მიკლე ისტორია; ადამიანი და არაცნობიერი ფსიქონალიზის საწყისები; სულიერება, პიროვნების სტრუქტურა; ადამიანი და გონი; იდეაციის ცნება; ფილოსოფიური ანთროპოლოგიის უმთავრესი მიზანი; ადამიანური ნაკლოვანებანი, როგორც მიზანდასახული ქმედების საფუძველი; ადამიანის ადგილი სამყაროში; რელიგიურობის სიღრმისეული ასპექტები; ფილოსოფია, როგორც შინაგანი მოწოდება; არსებობის კომუნიკაციები; ექსისტენციალობა და ფენომენალობა, აბსურდის მეტაფიზიკა, თავისუფლება და დეტარმინაცია; ანთროპოსოფია – ოკულტური თვალსაზრისები

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ფილოსოფიის ზოგადი კურსი, რელიგიათმცოდნეობა.

კურსის კოდი: SFB0100

თანამედროვე დასავლური სოციოლოგია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ო. კონტის პოზიტივისტური სოციოლოგია; სპენქსის ორგანიზატორული სოციოლოგიური მიმართულება; სოციალ-დარვინიზმი და მისი მიმდევრები; სტატისტიკურ-სოციოლოგიური მიმართულება; ისტორიულ-მატერიალისტური მიმართულება სოციოლოგიაში; ჰერმენევტიკული სოციოლოგია, ფენომენოლოგიური სოციოლოგია, სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზი; კონფლიქტოლოგია და ძალმომრეობის სოციოლოგია

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ფილოსოფიის შესავალი.

კურსის კოდი: SFB0130

კულტურის ფილოსოფია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კულტუროლოგიის საგანი. კულტურის ცნების გაგება. კულტურის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა. კულტურისა და ბუნების ურთიერთმიმართება. კულტურის დროულ-სივრცული ლოკალიზაცია და

ურთიერთობა ღირებულებასთან. კულტურის ბუნებრივი და სოციალური დეტერმინაციის ჩარჩოები და ადამიანის მოღვაწეობა მასში. უმაღლესი ღირებულება, როგორც რელატიურისა და სუბიექტურის, ასბოლუტურისა და ობიექტურის მომენტის მატარებელი. კულტურის ტელეოლოგიური ხასიათი.. კულტურა, როგორც ადამიანის მოქმედების შედეგი. კულტურა და ბარბაროსობა. კულტურა და ცივილიზაცია. პირველყოფილი საზოგადოება, როგორც კულტურის განვითარების საწყისი ეტაპი. რელიგიისა და კულტურის, ხელოვნებისა და კულტურის, ზნეობისა და კულტურის ურთიერთობები. კულტურის შესახებ არსებული თეორიები. ნიცშეს „ბერდიევის, ნიბურის და სხვათა თვალსაზრისები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:ესთეტიკა.

კურსის კოდი: SFB0210

რაციონალიზმის ფილოსოფიური თეორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კლასიკური მეტაფიზიკის იდეათა სამყარო, გონებისა და რწმენის დაპირისპირება, ახალი დროის ფილოსოფიური წინამძღვრები, რენე დეკარტეს ფილოსოფია, ლაიბნიცის “მონადოლოგია”, იუმის სკეპტიციზმი, რაციონალიზმის თანამდროვე თეორიები და კრიტიკა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:ფილოსოფიის შესავალი.

კურსის კოდი: SFB0260

სიცოცხლის ფილოსოფია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სიცოცხლის ფილოსოფიის წინამძღვრები, კლასიკური მეტაფიზიკის კრიტიკა, ნიცშეს როლი ფილოსოფიისა და კულტურის ისტორიაში, ნიჭილიზმი და სიცოცხლის ღირებულებები, ნებისა და ძალაუფლების პრობლემატიკა, დიონისურისა და აპოლონურის დაპირისპირება, ზეკაცი და მარადიული დაბრუნება, ბერგსონის “ხანიერების” თეორია, სიცოცხლის ფილოსოფია ესპანეთში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:ფილოსოფიის შესავალი.

კურსის კოდი: SFB0060

ეთიკა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ეთიკის საგანი, ზნეობის განსაზღვრება, ქცევის მოტივები, ზნეობრივი ქცევის ფსიქოლოგიური საფუძვლები, ზნეობის სათავეები, პირველყოფილი საზოგადოების ზნეობა, კლასობრივი საზოგადოების ზნეობა, ზნეობა და პოლიტიკა, ზნეობა და სამართალი, ზნეობა და ხელოვნება, ზნეობა და რელიგია, ზნეობა და მეცნიერება, სიცოცხლის საზრისისა და ბედნიერების ცნებები. ბედნიერების შეფარდებითი ხასითი, დრო-სივრცე და ადამიანი; მოვალეობის ცნება და თავისუფლების პირობა; ზნეობრივი მოვალეობა და კანტის კატეგორიული იმპერატივი, როგორც სინდისის საფუძველი, სინდისის ობიექტური საფუძველი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:ფილოსოფიის შესავალი.

კურსის კოდი: SFB0030

აღმოსავლური ფილოსოფია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ძველი ჩინური, ინდური, არაბული სამყაროს რწმენა – წარმოდგენები, ფილოსოფიური სკოლები: კონფუციუსის, ჩჟუანცზის, დაისტა შეხედულებები,

ბუდიზმის ფილოსოფია, სუფიზმი და ისლამი, არაბული ფილოსოფია, დასავლური და აღმოსავლური აზროვნების განსხვავება, ევროპოცენტრიზმის კრიტიკა
კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:ფილოსოფიის შესავალი.

კურსის კოდი: SFB0270

სოციოლოგია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სოციოლოგის სააგანი; სოციოლოგიის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, სოციოლოგიის მიზანები და ამოცანები, სოციოლოგიური აზრის მოკლე მიმოხილვა; საზოგადოების არსებობის, ცვალებადობისა და განვითარების ფაქტორები, საზოგადოების სტრუქტურა; საზოგადოებრივი პროგრესის არსი

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:ფილოსოფიის შესავალი, ისტორიის ფილოსოფია, ლოგიკა, ფსიქოლოგია

კურსის კოდი: SWB0221

პოლიტოლოგია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების საგანი, კატეგორიები, მეთოდები და ფუნქციები; პოლიტიკა, როგორც სოციალური ფენომენი; თანამედროვე ქართული პოლიტიკური აზრის განვითარების თავისებურებები და ძირითადი მიმართულებები; პოლიტიკური ხელისუფლების თეორია; პოლიტიკური კონფლიქტები და კრიზისები; პოლიტიკური ლიდერი და ელიტების თეორია, მათი ტიპოლოგია; სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი. სამოქალაქო საზოგადოება, არჩევნების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:; ფსიქოლოგია; ფილოსოფიის შესავალი.

კურსის კოდი: SHB0141

საქართველოს ისტორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საქართველოს ისტორიის საგანი და ამოცანები, წყაროები და ისტორიოგრაფია, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა. პირველყოფილი საზოგადოება საქართველოში, საქართველო ძველ აღმოსავლურ და ანტიკურ ხანაში, ადრეფეოდალური ხანა, განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისი საქართველოში, ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა და განმტკიცება. ფეოდალური საქართველოს დაქვეითება და დაცემის პერიოდი XIII-XVIII სს.. საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და პოსტსაბჭოთა რეალობა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა: საქართველოს ისტორიის ცოდნა საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში.

კურსის კოდი: SFB0181

ნეოპლატონიზმი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ნეოპლატონიზმი, როგორც რელიგიურ-მისტიკური ფილოსოფია; სულის უკვდავების პერსონიფიცირებული მოდელი; ღვთაებრივი ემანაციის გაგება; პლატონისეული ასკეზას თეორია; ექსტაზის მიღწევა-განდმართობა; სიკვდილის აპოლოგია; აბსოლუტის დიალექტიკა, ტრანსცენდენტის ერთიანობა; ტრიადას ღვთაებრივი

პრინციპის თეოსოფიური კვალიფიკაცია; იამბლიზეს სირიული სკოლის თავისებურებანი, ღვთაებრივი გამოცხადების საიდუმლოება; ქრისტიანული ნეოპლატონიზმის სპეციფიკა; ფსევდო დიონისეს ვინაობა, არეოპაგიტული კორპუსების როლი და ადგილი ნეოპლატონიზმში; ნემესიოს ემესელის “ბუნებისათვის კაცისა”, ო. პეტრიწის ნეოპლატონური პრინციპები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ფილოსოფიის შესავალი, ლოგიკა.

კურსის კოდი: SFB0201

პოსტმოდერნიზმი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ცნების ისტორია და გენეალოგია, მოდერნიზმისაგან განმასხვავებელი ნიშნები, ფრანსუა ლიოტარი და მეტანარატივების უარყოფა, ორმაგი კოდირება, აღსანიშნის კრიტიკა ლაკანთან, ბოდრიარის სიმულაციური თეორია, ფულოს ძალაუფლების მიკროფიზიკა, დერიდას დეკონსტრუქცივიზმი, დელიოზის შიზოანალიზი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ფილოსოფიის შესავალი.

კურსის კოდი: SFB0701

განათლების ფსიქოლოგია 5 კრედიტი.

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: განათლების ფსიქოლოგიის საგანი და ძირითადი ცნებები, სწავლის ქცევის შინაგანი სტრუქტურა, სწავლის ქცევის გარეგანი სტრუქტურა, სწავლა და აზროვნება, სწავლა და დმეხსიერება, სწავლისა და განვითარების ბიჰევეიორისტული თეორიები, სწავლისა და განვითარების კოგნიტური თეორიები, სწავლის და განვითარების ჰუმანისტური თეორიები, სწავლის და დგანვითარების თეორიული საკითხები განწყობის ფსიქოლოგიაში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ფსიქოლოგიის ზოგადი კურსი

კურსის კოდი: SFB0171

ნეოთომიზმი და ქრისტიანობა 5 კრედიტი.

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ნეოთომიზმის წარმოშობის საფუძვლები და პაპი ლეო XIII-ის გამოქვეყნებული ენციკლიკა (1849 წ.) ნეოთომიზმის მოთხოვნები – კათოლიკურ სკოლებში ქრისტიანული ფილოსოფიის აღდგენა წმ. თომა აქვინელის მოძღვრების შესაბამისად. რომის ეკლესიის განსაკუთრებული ყურადღება ნეოთომიზმისადმი, როგორც კრიტიკული სიტუაციიდან (პარიზის კომუნის მომდევნო პერიოდი და ბუნებისმეტყველებაში გაბატონებული დარვინიზმი) გამოსავალი. ნეოთომისტები: ე. ჯილსონი, ჟ. მარტენი, მ. გრაბმანი, თ. მანსერი, ი. ლოტცი, კ. რანერი, ჰ. ბალთაზარი და სხვა ნეოთომისტების მიერ მარქსისტული ფილოსოფიის კრიტიკა (ი.მ ბოხენსკი, გ. ვეტრი, პ. გრიჯიკი და სხვა). II მსიფლიო ომის შემდგომი პერიოდი, როგორც ახალი ეტაპი მარქსისტებსა და თეოლოგებს შორის სიალოგი, ცივილიზაციის მონაპოვრის დასაცავად. შვეიცარიელი პროტესტანტი კ. ბართი (1886-1967) როგორც ე.წ. დიალექტიკური თეოლოგიის მთავარი წარმომადგენელი. ტეიარ დე შარდენის “რელიგიური ოპტიმიზმი” და მისი ნაშრომი “ადამიანის ფენომენი”, როგორც ქრისტიანული რელიგიისა და თანამედროვე მეცნიერებს შორის შერიგების მცდელობა

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: რელიგიის ფილოსოფია და რელიგიური ფილოსოფია

კურსის კოდი: SFB0691

დ. უზნაძის განწყობის თეორია. 5 კრედიტი.

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: დ. უზნაძის განწყობის თეორია, როგორც ქცევის სუბიექტის კონცეფცია; ფიზიკურისა და ფსიქიკურის ურთიერთობის პრობლემა განწყობის ფსიქოლოგიაში, ქცევის მიზანშეწონილობა პრობლემა განწყობის ფსიქოლოგიაში, განწყობის ფაქტორები, ფიქსირებული (დისპოზიციური) და აქტუალური (სიტუაციური) განწყობის ცნებები, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, ქცევის მოტივის პრობლემა განწყობის ფსიქოლოგიაში, ქცევითა ურთიერთქმედების პრობლემა განწყობის ფსიქოლოგიაში, ქცევის პოლიმიივაციის პრობლემა განწყობის ფსიქოლოგიაში, ქცევითა კლასიფიკაციის პრობლემა განწყობის ფსიქოლოგიაში, ობიექტივაციის ცნება და ობიექტივაციის დონზე დაგეგმილი ქცევის თავისებურებები, პიროვნების ცნება განწყობის ფსიქოლოგიაში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ფილოსოფიის ზოგადი კურსი. ფსიქოლოგია.

კურსის კოდი: SFB0641

ცნობიერების ფილოსოფიური თეორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გნოსეოლოგია, როგორც მოძღვრება ცნობიერების შესახებ, ფსიქიკა და ცნობიერება, ცნობიერება და თვითცნობიერება, არაცნობიერი ფსიქიკური პრობლემა, ცნობიერების სტრუქტურა, ცნობიერების მოდელირების პრობლემა, შემეცნების არსი, დოგმატიზმი, სკეპტიციზმი, კრიტიციზმი, ჭეშმარიტების კრიტერიუმის პრობლემა, ინტუიციის როლი შემეცნების პროცესში, მეცნიერული ცოდნის ემპირიული და თეორიული დონეები. ემპირიზმი და აპრიორიზმი; რაციონალიზმი და ირაციონალიზმი; ცონდა და ღირებულება; ნიჰილიზმი და ღირებულებათა გადაფასების პრობლემა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ფილოსოფიის ზოგადი კურსი, ლოგიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფიური ანთროპოლოგია.

უცხო ენა 1 (ინგლისური HEB0400 , რუსული HSB0530, ფრანგული HFB1070, გერმანული HFB1060) (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ენის ასპექტების წერის, კითხვის, მოსმენის, საუბრის სწავლება: **წერაში** სტუდენტი შეისწავლის წინადადების აგების ნორმებს; აზნაცის ორგანიზაციას; მთავარი, განმავითარებელი და შემაჯამებელი წინადადებების წერას; აზნაცების სახეობებს, საქმიანი ქაღალდების შედგენას. **კითხვაში** სტუდენტი დაეუფლება კითხვის სხვადასხვა მეთოდს კითხვის მიზნების შესაბამისად: დეტალური ინფორმაციის, ზოგადი ინფორმაციის, მთავარი ინფორმაციის (ტექსტის სწრაფი კითხვით) მიღებისათვის. **მოსმენაში** სტუდენტი განივითარებს მოსმენის საბაზო უნარ-ჩვევებს აუდიო-ვიდეო მასალის გამოყენებით. **საუბარში** სტუდენტი შეიძენს მარტივი დიალოგისა და მონოლოგის წარმართვის კომპეტენციას ისეთ თემებზე, როგორებიცაა იდენტობა, პროფესია, ოჯახი, მსოფლიო და თანამედროვე პრობლემები. ზემოთ ხსენებული უნარ-ჩვევების განვითარება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და საშუალებების სასწავლო პროცესში ჩართვას ეფუძნება, რომელთა ურთიერთქმედება სწავლების მაღალეფექტურობასა და ინტენსივობას უზრუნველყოფს.

კურსის კოდი:

უცხო ენა 2 (ინგლისური HEB0420, ფრანგული HFB1040, გერმანული HFB0890, რუსული HSB0550) (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კურსი ითვალისწინებს ენის ოთხივე ასპექტის უფრო მაღალ დონეზე დაუფლებას: **წერაში** სტუდენტი შეისწავლის ესსეს წერის პრინციპებს, შესავალი, ძირითადი და დასკვნითი აზნაცების სპეციფიკას, ესსეს ტიპებს და საქმიანი მიმოწერის წარმოებას. **კითხვაში** სტუდენტი დაეუფლება მაღალი დონის ადაპტირებული და ორიგინალი ტექსტის კითხვის პრინციპებს. **მოსმენაში** სტუდენტი განივითარებს მშობლიურ ენაზე მოსაუბრის მეტყველების გაგების უნარ-ჩვევებს. **საუბარში** სტუდენტი შეიძენს დიალოგის და მონოლოგის წარმართვის კომპეტენციას ისეთ თემებზე, როგორებიცაა დანაშაული და სასჯელი, ეკონომიკა, მედიცინა, ეკოლოგიური პრობლემები, მსოფლიო უსაფრთხოება. ამავე დონეზე ხდება სპეციალური (დარგობრივი) ტერმინოლოგიის შესწავლა და დარგობრივი ტექსტების დამუშავება. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** უცხო ენა 1-ის დაუფლება.

კურსის კოდი:

უცხო ენა 3 (ინგლისური HEB0430, ფრანგული HFB0910, გერმანული HFB0910, რუსული HSB0580) (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კურსი ითვალისწინებს ენის ოთხივე ასპექტის კომპლექსურ სწავლებას. სწავლების ამ დონეზე ხდება წერის, კითხვის, მოსმენის, საუბრის უკვე არსებული უნარ-ჩვევების ინტეგრირება და მათი დახვეწა. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სპეციალური ტერმინოლოგიის შესწავლასა და დარგობრივი ტექსტის დამუშავებაზე. ამავე ეტაპზე ხდება პრესის ენის შესწავლა და დარგობრივი სამეცნიერო სტატიების დამუშავება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: უცხო ენა 2-ის დაუფლება

8. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.